# მგრგვინავი კვამლი

სათაურის მიხედვით გამოთქვი მოსაზრება, რას შეიძლება ნიშნავდეს სიტყვები: „მგრგვინავი კვამლი"? წაიკითხე ტექსტი და შეამონმე შენი ვარაუდი.

„მგრგვინავი კვამლი" – ასე ეძახიან აფრიკელები ჩანჩქერ ვიქტორიას. იგი მდებარეობს აფრიკის ორი ქვეყნის – ზამბიისა და ზიმბაბვეს – საზღვარზე. აქ 1708 მ სიგრძის ნაპრალია. იგი ქანების გახლეჩით გაჩნდა. მისი სიმაღლე 108 მ-ია. ამ ღრმა **უფსკრულში** იღვრება მდინარე ზამბეზის წყალი. ასე წარმოიქმნება მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ჩანჩქერი. იგი სამჯერ მაღალია ჩანჩქერ ნიაგარაზე, რომელიც აშშ-ისა და კანადის საზღვარზე მდებარეობს.

წყლის ვარდნის ხმა თითქმის 40 კმ-ზე ისმის. ამ დროს ძალიან ლამაზი სანახავია ჩანჩქერის წყლის შხეფები. ისინი 50 კმ-იდანაც კი ჩანს. წყლის ვარდნისას 400 მ სიგანის ორთქლი და ნისლი ჩნდება. იგი შორიდან **კვამლს** ჰგავს. ერთი შეხედვით გეგონება, რომ **აქტიური** ვულკანის **კრატერიდან** კვამლი ამოდისო.

პირველი ევროპელი, რომელმაც ჩანჩქერი ვიქტორია ნახა, დევიდ ლივინგსტონი იყო. ეს მოხდა 1855 წელს. ინგლისელმა მოგზაურმა ამ ადგილამდე ნავით მიცურა. ნანახით **უზომოდ** მოიხიბლა. მან ჩანჩქერს ბრიტანეთის დედოფლის სახელი დაარქვა. მას შემდეგ ბევრი დაინტერესდა აფრიკის ბუნების ამ საოცრებით.

დღეს ჩანჩქერ ვიქტორიას ყოველ წელს ასიათასობით უცხოელი სტუმრობს. მათ განსაკუთრებით ხიბლავთ ულამაზესი ცისარტყელები. ამ ფერად რკალებს მთელი დღის განმავლობაში წყლის წვეთები წარმოქმნის. კიდევ უფრო საოცარი კი ისაა, რომ ჩანჩქერზე ცისარტყელა ზოგჯერ ღამითაც ჩნდება.

ჩანჩქერის პირას არის **ტბორი**. ეს ადგილი ტურისტებს ძალიან მოსწონთ. ტბორს უცნაური სახელი, „ეშმაკის აუზი", ჰქვია. თუმცა იქ ცურვა არც ისე საშიშია. წყლის ქვეშ ქვის ბუნებრივი კედელია აღმართული. იგი მოცურავეს საიმედოდ იცავს, რომ დინებამ არ წაიღოს და უფსკრულში არ ჩაიტანოს.

ჩანჩქერი ვიქტორია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაშია შეტანილი.

*ტექსტი გადამუშავებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიოს საოცრებების" მიხედვით.*

რატომ მიაჩნიათ ვიქტორია მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს ჩანჩქერად?

**კომპონენტი:** შეგვამება, **დონე:** 4.1

# ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 სად მდებარეობს ჩანჩქერი ვიქტორია?**

ა) ზიმბაბვესა და ზამბიის საზღვარზე.

ბ) აშშ-ისა და კანადის საზღვარზე.

გ) მხოლოდ ზიმბაბვეს ტერიტორიაზე.

**2 ჩანჩქერის წყლის შხეფებისგან წარმოიქმნება:**

ა) კვამლი. ბ) ორთქლი. გ) ტბორი.

**3 რის გამო უწოდებენ აფრიკელები ვიქტორიას „მგრგვინავ კვამლს“?**

ა) ვიქტორია ნიაგარაზე სამჯერ მაღალია და შორიდან კვამლს ჰგავს.

ბ) ვიქტორია ვარდნისას ძლიერ ხმას გამოსცემს და შორიდან კვამლს ჰგავს.

გ) ვიქტორიას ვარდნის ხმა შორს ისმის, წვეთები კი ცისარტყელას წარმოქმნის.

**4 ტექსტის მესამე აბზაციდან ვიგებთ, რომ:**

ა) დიდი ხნის განმავლობაში ჩანჩქერით არავინ დაინტერესებულა.

ბ) ევროპელებიდან ჩანჩქერი პირველად ლივინგსტონმა ნახა.

გ) ჩანჩქერს ვიქტორია ინგლისის დედოფლის ბრძანებით დაარქვეს.

**5 რის გამო წარმოიქმნება ჩანჩქერ ვიქტორიაზე ულამაზესი ცისარტყელა?**

ა) ნაპრალის სიგანის გამო. ბ) უფსკრულის სიღრმის გამო. გ) წყლის წვეთების გამო.

**6 რატომ არ არის საშიში „ეშმაკის აუზში“ ცურვა?**

ა) ტბორის ფსკერზე აღმართული კედელი ადამიანს უფსკრულში ჩავარდნისაგან იცავს.

ბ) ჩანჩქერის პირას შექმნილი ტბორი სულაც არ არის ძალიან ღრმა.

გ) წყლის დინება იქ ისეთი ნელია, რომ იგი ადამიანის უფსკრულში ჩატანას ვერ შეძლებს.

**7 ვიქტორია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად აღიარეს, რადგან:**

ა) აფრიკელები მას „მგრგვინავ კვამლს“ ეძახიან.

ბ) იგი ინგლისელმა მოგზაურმა აღმოაჩინა.

გ) იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ჩანჩქერია.

## ▶▶▶ ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. წყალი **უფსკრულში** იღვრება.

   ა) მოზრდილ ტბორში. ბ) ღრმა ხევში. გ) სწრაფ მდინარეში.

2. ეს სანახაობა შორიდან **კვამლს** ჰგავს.

   ა) ბოლს. ბ) ნისლს. გ) ორთქლს.

3. **აქტიური** ვულკანის კრატერიდან კვამლი ამოდის.

   ა) მიძინებული. ბ) მოქმედი. გ) საშიში.

4. ნანახით **უზომოდ** მოიხიბლა.

   ა) თავიდანვე. ბ) მეტისმეტად. გ) უცებ.

5. ჩანჩქერის პირას წარმოიქმნება **ტბორი.**

   ა) გუბე. ბ) ზღვა. გ) ტბა.

**2 რომელი სიტყვაა განმარტებული?**

ვულკანის ჩაღრმავებული ადგილი, საიდანაც ლავა ამოდის, არის:

ა) კრატერი. ბ) ტბორი. გ) უფსკრული.

**3 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?**

ა) ბუნებრივი – ხელოვნური.

ბ) საოცარი – საკვირველი.

გ) საშიში – სახიფათო.

## ▶▶▶ გრამატიკა

**1 დაწერე სიტყვები საჭირო ფორმით.**

1. ასე ეძახიან აფრიკელები *(ჩანჩქერი)* ---------- ვიქტორიას.
2. ჩანჩქერს ბრიტანეთის *(დედოფალი)* ---------- სახელი ჰქვია.
3. ჩანჩქერი ვიქტორია მდებარეობს *(ზამბია)* ---------- საზღვარზე.

## გრამატიკა

**2 შეარჩიე საჭირო სიტყვა.**

ვულკანის ---------- კვამლი ამოდის. ***(კრატერიდან / კრატერისაგან)***

**3 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.**

| | |
|---|---|
| [X] ***უზომოთ.*** | [ ] ***უზომოდ.*** |
| 1. [ ] მრავალი წელი. | [ ] მრავალი წლები. |
| 2. [ ] ქვია. | [ ] ჰქვია. |

## წერა

**1 დაწერე შემაჯამებელი ტექსტი „მგრგვინავი კვამლი“. ამისათვის გამოიყენე გააზრებისთვის დასმული კითხვები და შენი პასუხები.**

**მაგალითად, დაიწყე ასე:**

*ჩანჩქერი ვიქტორია მდებარეობს* ----------

*(წინადადება დაასრულე სწორი პასუხის მიხედვით).*

---

---

---

**2** დაწერე ხუთსტრიქონიანი ლექსი სათაურით „ჩანჩქერი“. შეეცადე ლექსში ასახო წაკითხული ტექსტით მიღებული ცოდნა და შთაბეჭდილება. გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.

***ლექსის სქემა:***

_____

*არსებითი სახელი*

_____ _____

*ზედსართავი სახელი* *ზედსართავი სახელი*

_____ _____ _____

*ზმნა* *ზმნა* *ზმნა*

_____

*ოთხსიტყვიანი წინადადება ან ფრაზა*

_____

*არსებითი სახელი*